საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/189

ქ. ბათუმი 01 აგვისტო, 2022 წ.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N03 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 01 აგვისტოს N01-10/81 ბრძანების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ, მ. გიორგაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 22 0000851813, MES 7 22 0000853714, 28.07.2022 წ), იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ლ. ჯაყელის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 22 0000772794 7.07.2022 წ), ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის (დეკანის მ/შ), ნ. ჯაბნიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 22 0000852626, 28.07.2022 წ), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ლ. თურმანიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 22 0000754268, 04.07.2022 წ.) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, გ. ფარცხალაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 22 0000849475, 27.07.2022 წ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ/შ, მ. ქორიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 22 0000853856, 28.07.2022 წ), ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის, ი. კორძაიას სამსახურებრივი ბარათის (MES 5 22 0000853505, 28/07/2022წ) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **2022 წლის 1 აგვისტოს** გამოცხადდეს ღია კონკურსი წინამდებარე ბრძანების **N1 დანართით** გათვალისწინებული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.
2. **გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე** - www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში) კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია (წინამდებარე ბრძანების **N2 დანართი),** წინამდებარე ბრძანება, **ასევე შემდეგი სამართლებრივი აქტები:** ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3

გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესი“**; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“**; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობის პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების და აფილირების შეთანხმების ფორმები.

3. საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად შედგენილი **საკონკურსო განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა** (დამტკიცებული ფორმები) **და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2022 წლის 01 სექტემბრიდან 07 სექტემბრის ჩათვლით** (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, **ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში** (მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N16). მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge);

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული კონკურსანტის ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს უფლებამოსილის პირის მიერ დადასტურება **მოხდეს 2022 წლის 24 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით,** წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (წინამდებარე ბრძანების **N3 დანართი)** შესაბამისად შევსებული დოკუმენტის საფუძველზე (ფორმები განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე კონკურსების ველში);

გ) კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 08 სექტემბრიდან 09 სექტემბრის ჩათვლით;

დ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი **არაუგვიანეს 2022 წლის 12 სექტემბრისა** გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში).

4. ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გათვალისწინებით:

ა) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტი უფლებამოსილია ამ ფაქტის შესახებ წერილობით განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge. ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურის მიღების წესის“ მე-4 მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ცნობა განმცხადებელზე გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე;

ბ) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზლოაციაში მყოფი) კონკურსანტის შესაბამისი განცხადების შემთხვევაში დასაშვებია მის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურის მიღების წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა

განმცხადებელზე/მომჩივანზე გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) დასაშვებია **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) დასაშვებია საკონკურსო კომისიამ დაადგინოს **მუშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) დასაშვებია **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიის (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდეგ კონკურსში გამარჯვებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში შრომითი ურთიერთობის დაწყების თარიღი და ხანგრძლივობა აღინიშნოს აკადემიური საბჭოს დადგენილებაში/წინამდებარე ბრძანების **N1 დანართში** აღნიშნული ვადების შესაბამისად.

6. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის 2022 წლის სექტემბერში ორგანიზებულად წარმართვის მიზნით **ბსუ-ს პერსონალმა 2022 წლის 24 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით ვადებში განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:**

ა) ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე და კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურში წარდგენილი იქნეს აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესით დამტკიცებული კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული კონკურსანტის ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ფორმის **(დანართი N3)** შესაბამისად;

ბ) სამეცნიერო კვლევების სამსახურმა (რექტორის მოადგილესთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით) უზრუნველყოს კონკურსანტის მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენილი, წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურება (განისაზღვროს ფაკულტეტის პერსონალის მიღების საათები, გონივრულ ვადაში ეცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას და ინფორმაცია გამოქვეყნდეს სამუშაო ოთახთან/ეცნობოს ელექტრონულად);

გ) შესაბამისი **ფაკულტეტის დეკანის და დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ** დადასტურდეს ხელმოწერით და ყოველ გვერდზე დაესვას ფაკულტეტის ბეჭედი აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე პირების მიერ წარმოდგენილ წერილობით/ხელმოწერილ ინფორმაციას **ბსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობის** (სასწავლო კურსები, სტუდენტთა საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/სამეცნიერო ნაშრომების

ხელმძღვანელობა ან/და საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო სხვა აქტივობის) შესახებ, რომელიც განხორციელდა ბსუ-ს სამართლებრივი აქტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურებრივი განკარგულებების/დავალების საფუძველზე;

დ) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის" შესაბამისად, აკადემიური პერსონალის შეფასებაზე პასუხიმგებელი პირების მიერ აკადემიური პერსონალის შეფასებების განხორციელების შემდეგ, **ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ფაკულტეტის დეკანს დაევალოთ**, ერთობლივად ხელმოწერილი შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

7. 65 წელს მიღწეული პირის კონკურში მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე განხილული იქნეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე და მიღებული დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
8. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ფაკულტეტის დეკანს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
9. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, აკადემიური საბჭოს სამდივნოს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N 01-02/189 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს 38 ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად 2022 წლის 1 აგვისტოდან გამოცხადებული ღია კონკურსი

1. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 2 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები)	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულების ამოქმედების ვადა
1	**სამართლისა და საჯარო მმართველობის**	2					
	საჯარო სამართალი					1	19.09.2022 დან 3 წლის ვადით
	კერძო სამართალი					1	19.09.2022 დან 3 წლის ვადით
სულ:		2				2	

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 8 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები)	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულების ამოქმედების ვადა
1	**ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის**	1					
	მსოფლიო ისტორია				1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით

2	აღმოსავლეთმცოდნეობის	2					
	თურქული ლიტერატურა				1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
	თურქული ენა			1			19.09.2022 დან 5 წლის ვადით
3	ქართული ფილოლოგიის	4					
	ქართული ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა			1	1		19.09.2022 დან 5 წლის ვადით- ასოც. პროფესორი, ხოლო 4 წლის ვადით - ასისტენტ-პროფესორი
	ჟურნალისტიკა		1		1		19.09.2022 დან 6 წლის ვადით პროფესორი, ხოლო 4 წლის ვადით - ასისტენტ-პროფესორი
4	ევროპეისტიკის						
	ინგლისური ენა	1			1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
სულ:		**8**	**1**	**2**	**5**	**0**	

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 7 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები)	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულების ამოქმედების ვადა
1	საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის	1					
	ფინანსები			1			19.09.2022 დან 5 წლის ვადით
2	ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის	2					
	მენეჯმენტი			1	1		19.09.2022 დან 5 წლის ვადით- ასოც. პროფესორი, ხოლო 4 წლის ვადით - ასისტენტ-პროფესორი
3	ეკონომიკის	4					
	ეკონომიკა				4		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
სულ:		7	0	2	5	0	

4. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი- 6 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები)	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულების ამოქმედების
1	კომპიუტერულ მეცნიერებათა	2					
	კომპიუტერული მეცნიერებები				1	1	19.09.2022 დან 4 წლის ვადით- ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 3

							წლის ვადით - ასისტენტი
2	ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	1					
	ინგლისური ენა				1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
3	მათემატიკის	3					
	ალგებრა და რიცხვთა თეორია				1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
	მათემატიკის საფუძვლები და მეთოდიკა				1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
	მათემატიკური ანალიზი, ალბათობის თეორია			1			19.09.2022 დან 5 წლის ვადით
	სულ	**6**	**0**	**1**	**4**	**1**	

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე-** 10 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები)	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულების ამოქმედების
1	სტომატოლოგია	4					
	რადიოლოგია		1				19.09.2022 დან 6 წლის ვადით
	სტომატოლოგია		1		2		19.09.2022 დან 6 წლის ვადით პროფესორი, ხოლო ასისტენტ-

							პროფესორი 4 წლის ვადით.
2	**კლინიკური მედიცინა**	**4**					
	თერაპია (,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა)		1				19.09.2022 დან 6 წლის ვადით
	ქირურგია (,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა)			1		1	19.09.2022 დან 5 წლის ვადით- ასოც. პროფესორი, ხოლო 3 წლის ვადით - ასისტენტი
	საბაზისო მედიცინა (,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, **ინგლისურენოვანი)**					1	19.09.2022 დან 3 წლის ვადით
3	**ქიმიის**	1			1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
4	**გეოგრაფიის**	1			1		19.09.2022 დან 4 წლის ვადით
სულ:		**10**	**3**	**1**	**4**	**2**	

6. ტექნოლოგიური ფაკულტეტი- 3 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი (საკონკურსო მიმართულებები)	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულების ამოქმედების ვადა
1	**ინჟინერიისა და მშენებლობის**	2					

	მშენებლობა			1			19.09.2022 დან 5 წლის ვადით
	ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია			1			19.09.2022 დან 5 წლის ვადით
2	ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის	1					
	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები			1			19.09.2022 დან 5 წლის ვადით
სულ:		**3**	**0**	**3**	**0**	**0**	

7. ტურიზმის ფაკულტეტზე - 2 ვაკანტური თანამდებობა

	ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი	სულ	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	შრომითი ხელშეკრულები ს ამოქმედების ვადა
1	ტურიზმის	2	1			1	19.09.2022 დან 6 წლის ვადით პროფესორი, ხოლო ასისტენტი 3 წლის ვადით.
სულ:		**2**	**1**	**0**	**0**	**1**	

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ"
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N 01-02/189 ბრძანების

დანართი N2

აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია

1. 2022 წლის 1 აგვისტოს გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,ბსუ") აკადემიური თანამდებობების (პროფესორის, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების) დასაკავებლად (იხილეთ კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N01-02/189 ბრძანების N1 **დანართში** აღნიშნული ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალი).
2. საკონკურსო განცხადება, კონკურსანტის ანკეტა და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს **2022 წლის 01 სექტემბრიდან 07 სექტემბრის ჩათვლით** (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, **ოთახი N16** (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge);
3. კონკურსი ჩატარდება 2022 წლის **8 სექტემბრიდან 9 სექტემბრის** ჩათვლით. საკონკურსო კომისიების შემაჯამებელი ოქმები არაუგვიანეს **2022 წლის 12 სექტემბრისა** გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
4. კონკურსის შედეგების ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემდეგ, კონკურსში გამარჯვებულ პირებთან დაიდება შრომითი ხელშეკრულებები/აფილირების შეთანხმებები და ამოქმედდება 2022 წლის 19 სექტემბრიდან (იხილეთ ამავე ველში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმა).
5. **კონკურსის ძირითადი პირობებია:**

   5.1 **პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე 6 (ექვსი) წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

   ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს ან მიღებულია დასაბეჭდად თანდართული კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5 ან 3.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.2 ან 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.2, 4.3, 4.4 ან ბოლო 3 წლის განმავლობაში - 4.5 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ სამეცნიერო აქტივობაში;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით სტუდენტს (ბაკალავრს, მაგისტრანტს, დოქტორანტს) გამოქვეყნებული აქვს თანდართული კლასიფიკატორის 2.3 პუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო ნაშრომი;

ე) აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ზ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

5.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე **5 წლის ვადით** აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

დ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტ-პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

5.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

5.4. ასისტენტის თანამდებობაზე 3 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტი.

(**შენიშვნა:** წინამდებარე კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში აღნიშნული ე.წ. „<u>კლასიფიკატორში</u>“ იგულისხმება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ **დანართი 1).**

6. **პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის** ვაკანტური თანამდებობების დაკავების მსურველებმა **საპროცედურო კომისიაში უნდა წარადგინონ:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას (საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის);

ე) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ასისტენტ-პროფესორმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ პირველი საფეხურისათვის);

ვ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4);

თ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი მინიმუმ ერთი სახელმძვანელო/სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია (იმ ენაზე, რომელენაზეც ტარდება ლექცია) და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები), თუკი კონკურსატს შემოაქვს განაცხადი **პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის** დასაკავებლად, **ხოლო** ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა, თუკი კონკურსანტს სურს დაიკავოს **ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა.**

7. **ასისტენტის თანამდებობის დაკავების მსურველმა საპროცედურო კომისიაში უნდა წარადგინოს:**

ა) პირადობის მოწმობა;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში);

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

ე) **ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი** - უნდა წარმოადგინოს კლინიკური მედიცინის დარგობრივ დეპარტამენტში ასისტენტის თანამდებობის დაკავების მსურველმა კონკურსანტმა ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (**ინგლისურენოვანი,** საბაზისო მედიცინის მიმართულებით) სასწავლო პროცესის წარმართვის საჭიროებისათვის (**შენიშვნა:** უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B2 დონეზე. კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და ინგლისურენოვანი პროგრამის დამთავრების შედეგად მიღებული ბაკალავრის/მაგისტრის/ერთსაფეხურიანი/დოქტორის დიპლომი). საჭიროების შემთხვევაში კანდიდატს ჩაუტარდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა. კანდიდატი, რომელიც არანაკლებ ორი სემესტრის განმავლობაში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ატარებდა ლექციებს ინგლისურ ენაზე, რექტორის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან).

8.. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა **საპროცედურო კომისიას** <u>**ასევე უნდა წარუდგინოს:**</u>

ა) **განცხადება** კონკურსში მონაწილეობის შესახებ (განაცხადის ფორმა <u>იხილეთ ქვემოთ);</u>
ბ) **კონკურსანტის ანკეტა** (შედგენილი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის **დანართი №3** -ის მიხედვით, <u>იხილეთ ქვემოთ).</u>
გ) **ნასამართლობის შესახებ ცნობა** (**შენიშვნა**: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე საკონკურსო დოკუმენტაციის საპროცედურო კომისიაში <u>წარდგენის დღისათვის (რეგისტრაციის დღე) ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (</u>კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

9. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული კონკურსანტის ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურება **შესაძლებელი იქნება 2022 წლის 24 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით,** კონკურსის გამოცხადების შესახებ წინამდებარე **ბრძანებით** (დანართი 3) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შევსებული დოკუმენტის საფუძველზე (ფორმები განთავსდება კონკურსების ველში).

10. 65 წელს მიღწეული პირის კონკურში მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხს ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე განიხილავს და გადაწყვეტს ბსუ-ს აკადემიური საბჭო და მიღებული დადგენილება გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

11. **ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გათვალისწინებით:**

ა) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტი უფლებამოსილია ამ ფაქტის შესახებ წერილობით განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2021@bsu.edu.ge. ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურის მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე;

ბ) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტის შესაბამისი განცხადების შემთხვევაში დასაშვებია მის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურის მიღების წესის" მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) დასაშვებია **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) დასაშვებია საკონკურსო კომისიამ დაადგინოს **მუშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) დასაშვებია **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

12. კონკურსანტები უფლებამოსილია გაეცნოს ბსუ-ს სამართლებრივ აქტებს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge (ველში ,,კონკურსები"): ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესი"**; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი"**; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობის პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულები ფორმა და აფილირების შეთანხმების ფორმები.

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N 01-02/189 ბრძანების დანართი 3

ფაკულტეტი _____

დარგობრივი დეპარტამენტი _____

აკადემიური თანამდებობის პირის სტატუსი და სახელი, გვარი: _____

1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი პუბლიკაციები/სტატიები (ბოლო ხუთი წლის - 2018-2022 წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთისა): (ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)

№	ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით)	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და სტატიის გვერდების რაოდენობა	ინდექსირების /ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	ბსუ-ს კლასიფიკატორის ქვეპუნქტები, რომელსაც შეესაბამება პუბლიკაციები/სტატიები	შენიშვნა
1							
2							
3							
...							

ავტორი:

ვადასტურებ:

რექტორის მოადგილე: _____

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: _____

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი : _____

2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (არაუმეტეს ხუთისა):

№	ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით)	ნაშრომის დასახელება	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზი-რებად, საერთაშორი-სო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონ-ფერენციო მასალები და სხვა)	ჟურნალის/კრებუ ლის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამომცემლობ ა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და სტატიის გვერდების რაოდენობა	ინდექსირებ ის/ციტირები ს შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	შენიშვნა
1							
2							
3							
...							

ავტორი:

ვადასტურებ:

რექტორის მოადგილე: _____

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: _____

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი : _____

შევსების თარიღი:

3. მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი და ა.შ. ბოლო ხუთი წლის მონაცემები - 2018-2022 წლები):

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ორგანიზატორი	ჩატარების ადგილი, თარიღი	მოხსენების თემა	თანაავტორი	ელექტრონული მისამართი	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	კლასიფიკატორის ქვეპუნქტები, რომელსაც შეესაბამება პუბლიკაციები/სტატიები	შენიშვნა
1									
2									
3									
...									

ავტორი:

ვადასტურებ:

რექტორის მოადგილე: _____

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: _____

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი : _____